*წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „გენდერული – თანასწორობის საბჭოს“ **2022** წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ*

2015 წლის 25 დეკემბრის N205 განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეიქმნა საკონსულტაციო–სათათბირო ორგანო „გენდერული თანასწორობის საბჭო“. ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და თანადგომით წყალტუბო არის პირველი მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონში სადაც შექმნილია საბჭო.

საბჭო წელიწადში ერთხელ საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ; უფლებამოსილია საკრებულოს თავმჯდომარის გრძანების საფუძველზე, გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს მუნიციპალიტეტი სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს იმ სიახლეებს, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ახორციელებს გენდერული თანასწორობის კუთხით. გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის დახმარებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული და აღწევს წარმატებებს ყველა ღონისძიებებსა და შეხვედრებში, ტრენინგებსა და სემინარებში რომელშიც უწევს მონაწილეობის მიღება.

საბჭოს ბიუჯეტი 2022 წლისთვის შეადგენს 7000ლ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები არიან: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სამსახურებისა და განყოფილების უფროსები, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები, არასამთავრობო ორგანიზაციები. 1. კულტურულ–ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ 2. არასამთავრობო ორგანიზაცია „თანხმობა“ 3. არასამთავრობო ორგანიზაცია "ვაკეთოთ ერთად" 4. საზოგადოებრივი კავშირი "ანდამატი" და სხვა. აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციასთან (ათეა), წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ საკრებულოსთან, იმერეთის პრობაციის წყალტუბოს ოფისთან და სხვა ორგანიზაციებთან. სულ 34 წევრია, აქედან 21 ქალი და 13 კაცი.

ჩატარებულია 3 სხდომა (21 იანვარი, 14 აპრილი, 3 აგვისტო) სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ დებულების გაცნობის შესახებ. / თ. ჭეიშვილი / 2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ შემადგენლობის შესახებ. / თ. ჭეიშვილი / 3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ 2022 წლის სამუშაო გეგმის განხილვა დამტკიცების შესახებ. / თ. ჭეიშვილი / 4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ 2021 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. / მ. კიკალიშვილი / 5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ოჯახური ძალადობისა და

ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტებთან დაკავშირებით 2021 წლის მონაცემები (სტატისტიკა). /გ. კრავეიშვილი / 6. იმერეთის ფორუმი - 2022წელი / მ. კიკალიშვილი / 7. პლაკატების დამზადება / ლ. ბერძენიშვილი / 8. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები / ი. ხელაძე / 9. გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოების სიმბოლოების შექმნასთან დაკავშირებით. /თ.ჭეიშვილი / 10. სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფოს სააგენტოს საქმიანობის შესახებ. / ე.ლეჟავა / 11. მუნიციპალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის განხორციელების შესახებ. / ე.კრავცოვა /

გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შეთანხმებული და დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს მიერ. სრულდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხები: დაიბეჭდა ბუკლეტები ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით და ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის ტრენინგ-შეხვედრები. სამოქმედო გეგმა შეგიძლიოთ იხილოთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვებ - გვერდზე - tskaltubo.gov.ge

ჩვენთვის ჯანსაღი ცხოვრების წესი პრიორიტეტულია, სწორედ ამიტომ ამ დღის აღნიშვნა თამბაქოსგან თავისუფალი გარემოს მნიშვნელობასა და თამბაქოს მოხმარების რეალური საფრთხის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად.
1996 წლიდან, 29 მარტი, საქართველოში ჯანმრთელობის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით აღინიშნება დღე „საქართველო თამბაქოს გარეშე".
24 მარტი კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი" „ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო ჩართულობის ფორმები და ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა."- ამ თემაზე გაიმართა ტრენინგი წყალტუბოს ქალთა საინიციატივო ჯგუფის წევრებთან. მონაწილეებმა განიხილეს სამოქალაქო ჩართულობის ფორმების სამართლებრივი ასპექტები, თვითმმართველობის როლი და კომპეტენცია, მოქალაქეთა პასუხისმგებლობა და სარგებელი ამ პროცესში. გაანალიზდა კონკრეტული ისტორიები, რატომ არის სამოქალაქო ჩართულობა მნიშვნელოვანი. რა ეტაპებს გულისხმობს, რას ნიშნავს ეს პროცესი თვითმმართველობისთვის და ცალკეული მოქალაქეებისთვის.

29 მარტი „გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, განახლებული ანგარიშები, ვთანამშრომლობთ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან.
30 მარტი კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმთან" ერთად ჩატარდა არაერთი ტრენინგი, საინფორმაციო შეხვედრა, ერთობლივი მუშაობა ძალადობის პრევენციისთვის, გაიმართა კვლევა „სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლების როლი და ჩართულობა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გამოვლენის, მასზე რეაგირების და რეფერირების პროცესში" და შემდგომ გამოიცა კვლევის ანგარიში.
წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 4-5 აპრილს ადგილობრივ თვითმმართველობათა ფორუმში მონაწილე 13 წევრი მუნიციპალიტეტისთვის შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებების ფარგლებში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა - ტრენინგი. მონაწილებას იღებდა 6 მუნიციპალიტეტი: წყალტუბო, ზესტაფონი, ონი, ოზურგეთი, ჩოხატაური და ბორჯომი. შეხვედრას ორგანიზებას უწევდა ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა

კონგრესი, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან თანამშრომლობით. თემა: ადგილობრივ პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგი.
2 მაისი იმერეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოებთან შეხვედრა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ (საირმე).

2014 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 17 მაისი ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოცხადდა.
ამ დღეს ყველა მოქმედ ტაძარში, 12 საათზე, აღევლინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისი, შემდეგ კი ეკლესიების მიმდებარე ტერიტორიების და ქუჩების კურთხევა ხდება. ამ დღესთან დაკავშირებით საზოგადოების ნაწილი ხატებით მსვლელობას მართავს.
12 აგვისტო „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ" მიულოცა მარიამ ჯანელიძეს ევროპის ჩემპიონატზე პირველი მედალის მოპოვება. ამასთანავე მაისურაძემ საქართველოს რეკორდი 3 კილოგრამით გააუმჯობესა.
15 აგვისტოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, სასახალხო დამცველის აპარატის ინიციატივით, პროექტის "კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში" ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.
შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს თვითმმართველ ერთეულებსა და ცალკეულ მუნიციპალიტეტებში, გენდერული თანასწორობისა და მეინსტრიმინგის მიზნით განხორციელებული სამუშაოების შეფასება, იქ მცხოვრებ მოქალაქეთა სპეციფიურ, სოციალურ და ეკონომიკურ საჭიროებებთან მიმართებაში. შეხვედრას სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს სამმართველოს უფროსი მადონა ბასილაძე და სამმართველოს წარმომადგენელი თამთა ჩეჩელაშვილი უძღვებოდა.

23 მაისი ტრენინგი თემაზე „კონფლიქტის არსი და ანალიზი" 5 მუნიციპალიტეტის (ქუთაისი, ხონი, წყალტუბო, ზუგდიდი, სენაკი) ქალთა საინიციატივო ჯგუფის 50 აქტიურ ქალბატონთან ონლაინ ტრენინგის ჩატარება

22 ივლისი „ სამოქალაქო საზოგადოების" ინიციატივით იმერეთის რეგიონში გაიმართა საჯარო შეხვედრა თემაზე: „მიგრაციის გამომწვევი მიზეზები და დასაქმების სესაძლებლობები საქართველოში"

16 სექტემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ქალთა ფონდი "სოხუმის" მიერ გაიმართა შეხვედრა ქალთა საინიციატივო ჯგუფის წევრებისთვის. განსახილველი თემა იყო "ქალთა ფემიციდი"

„გენდერული თანასწორობის საბჭოსთან", არასამთავრობო ორგანიზაცია „კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდის სოხუმის" მიერ შექმნილია „ქალთა კლუბი", სადაც გაერთიანებული არიან როგორც საბჭოს წევრები ასევე სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული გვაქვს თვეში ერთხელ ჩავატაროთ შეხვედრა წარმატებულ ქალებთან, რომლებიც ისაუბრებენ თავიანთ წარმატების ფორმულაზე, როგორ მიაღწიეს წარმატებას და გაიარეს ეს რთული გზა.

პირველ ეტაპზე მოწვეული გვყავდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ქალები: ხათუნა მაღლაკელიძე, მაკა ჭელიძე და ირინა ცაავა.

მეორე ეტაპზე მოწვეული გვყავდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის მკვიდრი ფერმერი ქალბატონი ეთერ მამაგეიშვილი. შეხვედრის თემა: „სოფლად მცხოვრებ ქალთა წარმატებული ისტორიები, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პერსპექტივები.

11 ნოემბერს „გენდერული თანასწორობის საბჭოს" და კულტურულ-ჰუმანიტარული ქალთა ფონდის სოხუმის", „ქალთა კლუბის" მიერ მოწვეული გვყავდა საკრებულოს წევრი ირინა ცაავა, რომელმაც გვესაუბრა თავისი საქმიანობის შესახებ.

12 ნოემბერი კულტურულ-ჰუმანიტარული ქალთა ფონდის „სოხუმი" ინფორმაცია „რეზოლუცია 1325" შესახებ, სამოქმედო გეგმის გაცნობა-განხილვა, ადგილობრივი პრობლემები მუნიციპალურ ბიუჯეტში - რესურსები და შესაძლებლობები.

18 ნოემბერი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა: მზია კიკალიშვილი (გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი), ლელა ბერძენიშვილი (საკრებულოს გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი) საინტერესო შეხვედრა მოაწყო შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნების" მოსწავლეებთან (VIII – IX – X – XI კლასი). შეხვედრის თემა: „სოციალურ სქესში დამალული სიმართლე, ანუ გენდერული თანასწორობა. საკითხები : 1. გენდერული თანასწორობა 2. ფემიციდი 3. ძალადობა - კითხვა - პასუხის რეჟიმში გაიმართა, რამდენად ინფორმირებული არიან მოსწავლეები.

ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთო სკოლის დირექტორი ირინა ცაავა, ისტორიის, მე და საზოგადოების მასწავლებელი დათა მაცაბერიძე და სკოლის თვითმმართველობის ხელმძღვანელი თამაზ დუნდუა.

მოსწავლეებს ასევე მივაწოდეთ ინფორმაცია 16 დღიან კამპანიის შესახებ „არა ძალადობას", რომელიც დაიწყება 25 ნოემბერს და მთავრდება 10 დეკემბერს. საქართველოში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით, კვლავ გამოწვევად რჩება შემთხვევათა დროული გამოვლენა და ეფექტური რეაგირება, ძალადობა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ ადამიანზე, განურჩევლად სქესის და ასაკისა.

როგორც ხალხთან ყველაზე დაახლოებული მმართველობის შტო, ადგილობრივი ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე კარგ პოზიციაზე მყოფ ძალას უთანასწორობის დასაძლევად „არა ძალადობას", „ვგმობთ ძალადობას", „ურთიერთობა ძალადობის გარეშე".

ერთჯერადი დახმარება გაეწია მარტოხელა სტატუსის მქონე რამოდენიმე პირს (300ლარის ოდენობით) და დედ-მამით ობოლ 2 ბავშვს. ოჯახური ძალადობის სტატუსის მქონე პირების ბინის ქირით უზრუნველყოფა (3 მოქალაქე).

ნოემბრის თვეში დაგეგმილი გვაქვს კვლევების ჩატარება: პირველი კვლევა - დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით, იძულებით გადაადგილებულ პირებთან.

მეორე კვლევა - საინფორმაციო ხასიათის ძუძუს კიბოთი დაავადებულებში, რამდენად არიან ინფორმირებული და აქვთ ინფორმაცია, როგორ ხდება მათი დაფინანსება, დაზღვევა და სხვადასხვა სახის დახმარება.

გოგონათა ფრენბურთის გუნდი „ წყალტუბო"- სთვის გენდერული თანასწორობის საბჭო გეგმავს სიმბოლური საჩუქრის გაკეთებას, კერძოდ: სპორტული ბრენდირებული ფორმების (მაისური, შორტი) შეძენას. 25 ნოემბერს გენდერული თანასწორობის საბჭო შეუერთდა 16 დღიან კამპანიას „არა ძალადობას"

საბჭოს აქვს face book გვერდი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო - სადაც ვაშუქებთ ჩვენს მიერ ჩატარებულ საბჭოს სხდომებს, ტრენინგ-სემინარებს, ღონისძიებებს, შეხვედრებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციას. გენდრული თანასწორობის საბჭო face book გვერდის დახმარებით ყოველთვის ახერხებს ეროვნული, რელიგიური და სხვა დღესასწაულებისა და წარმატებული საქმიანობის მილოცვას.

ქალთა აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი მაჩვენებელია:

მე - 6 მოწვევის საკრებულო (2018 – 2021წ.წ.) სულ 35 – 2 = 33 წევრი

კაცი - 28, ქალი - 5

გენდერული თანასწორობის საბჭო (2018 – 2021წ.წ.) სულ 25 წევრი

კაცი - 7, ქალი - 18

მე - 7 მოწვევის საკრებულო (2021 – 2024წ.წ.) სულ 39 წევრი

კაცი - 29, ქალი - 10

გენდერული თანასწორობის საბჭო (2021-2024წ.წ.) სულ 34 წევრი

კაცი - 13, ქალი - 21

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 09). ქვეპროგრამის მიზანია: პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა გენდერულად

სენსიტიური ჯგუფის - ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშობლების (როგორც ქალის ისე კაცის), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების, იგპ პირების საჭიროებების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა. პროგრამა ითვალისწინებს გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბებას, ინფორმირებას გენდერულ კანონმდებლობაზე, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ არსებულ მექანიზმებზე, მნიშვნელოვანია მოხდეს ცალკეულ სფეროებში გენდერული საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი საკითხების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე. დამზადებული იქნა საინფორმაციო ბუკლეტი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა - თანასწორობისა და ძალადობის პრევენციისათვის „ერთად - თანასწორობისათვის“

გენდერული თანასწორობის საბჭო თანამშრომლობს პოლიციის დეპარტამენტის წყალტუბოს რაიონული სამმართველოსთან, საიდანაც ყოველწლიურად გვაწვდიან ინფორმაციას მუნიციპალიტეტში ძალადობასთან და ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით არსებულ სტატისტიკას. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ქირით საცხოვრებლად დაფიქსირებულია 19 მოქალაქე, აქედან 3 ძალადობის მსხვერპლი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო მომავალ წელსაც აქტიურად გააგრძელებს თავის საქმიანობას. 2023 წელს მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2023 წლის სამოქმედო გეგმის შექმნა და განხორციელება.

მოამზადა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე, გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი: მ. კიკალიშვილი